

სკოპინგის დასკვნა N 38

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: მდინარე ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ბახვი 2“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. უკანავას მიმდებარე ტერიტორია;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 02.06.2022;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ბახვი 2“-ის მიერ წარმოდგენილი იქნა - ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე მდ. ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის ანგარიშს ერთვის ასევე ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა, კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ანგარიში, მაკრო და მიკროკლიმატის ანგარიში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „ბახვი 2“-ის მდ. ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2020 წლის 23 აპრილს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-356).

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და შესაბამისი გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, ბახვი 2 ჰესის პროექტი ითვალისწინებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. უკანავას მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვის დონიდან 1370-504 მეტრ ნიშნულებს შორის, 36 მგვტ დადგმული სიმძლავრის არარეგულირებადი, დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას. ბახვი 2 ჰესის შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო: წყალსაშვიანი რკინაბეტონის კაშხალი, გვერდითი წყალმიმღებით, გამრეცხი რაბით, სალექარით და თევზსავალით; სადერივაციო სისტემა, დაბალდაწნევიანი მილსადენით და გვირაბით; გამათანაბრებელი აუზი და სადაწნეო მილსადენი; ძალური კვანძი/ჰესის შენობა. ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება გათვალისწინებული იყო მდინარე ბახვისწყლის მარცხენა სანაპიროზე. წყლის სანაპიროში ხარჯად განსაზღვრული იყო - 5,2 მ³/წმ, ხოლო ეკოლოგიური ხარჯის ოდენობად განისაზღვრა - 0,27 მ³/წმ.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, დამატებით ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროექტის ოპტიმიზაციის თაობაზე, რაც ითვალისწინებს ერთი მაღალდაწნევიანი ჰიდროელექტროსადგურის ნაცვლად ორსაფეხურიანი (ბახვი 2ა და ბახვი 2ბ) ჰიდროელექტროსადგურის მოწყობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილი ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება გარემოზე ზემოქმედების რისკები, მათ შორის: გაიზრდება სათავე ნაგებობების ქვედა ბიეფში გასატარებელი მინიმალური ეკოლოგიური ხარჯები.

ბახვი 2 ჰესის პროექტის მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად ჰიდროელექტროსადგურის შემადგენლობაში იქნება ორი სადგური - ბახვი 2ა და ბახვი 2ბ, შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტებით: სათავე ნაგებობები, სადერივაციო-სადაწნეო სისტემები, ჰესის შენობები (35 კვ ძაბვის ქვესადგურებით). პროექტის პირობების ცვლილების შედეგად ბახვი 2ა ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება - 11.6 მგვტ, საპროექტო ხარჯი - 4.6 მ³/წმ, ხოლო ეკოლოგიური ხარჯი - 0.34 მ³/წმ. ბახვი 2ბ სადგურის სიმძლავრე იქნება - 23.8 მგვტ, წყლის საპროექტო ხარჯი - 5.3 მ³/წმ, ხოლო ეკოლოგიური ხარჯი - 0.39 მ³/წმ. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია ასევე ბახვი 2ბ-ს და ბახვი 2ა-ს ქვესადგურების დამაკავშირებელი (3511 მ), ასევე ბახვი 2ა-ს და ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილი 110 კვ ძაბვის ქვესადგურების დამაკავშირებელი (3160 მ) 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების გაყვანა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ. ვინაიდან, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს ბახვი 2 ჰესის საბაზისო პროექტით განსაზღვრული სათავე კვანძის ტერიტორიის ცვლილებას - ბახვი 2ა სადგურისთვის განხილული იქნა სადაწნეო სისტემის და ძალური კვანძის მოწყობის ორი ალტერნატივა (I - მდინარის მარჯვენა და II - მარცხენა სანაპირო), საიდანაც უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას, გეოლოგიურ და ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შედარებით დაბალი რისკების გათვალისწინებით. ბახვი 2ა სადგურის გამომუშავებული წყლის პირდაპირ ბახვი 2ბ-ს სადაწნეო სისტემაში ჩართვის შესაძლებლობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩაითვალა ბახვი 2ბ-ს სათავე კვანძის ბახვი 2ა-ს ძალური კვანძის სიახლოვეს განთავსება. ბახვი 2ბ-ს საპროექტო ინფრასტრუქტურის (სადაწნეო სისტემა, ჰესის შენობა) განთავსების ორი ალტერნატივიდან (I - მდინარის მარჯვენა და II - მარცხენა სანაპირო), ტექნიკური და გარემოსდაცვითი ფაქტორების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა I ალტერნატივას. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, უმოქმედობის ალტერნატივა უარყოფილ იქნა გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, ბახვი 2ა სადგურის სათავე ნაგებობა განთავსდება დაგეგმილია ზღვის დონიდან 1370 მ ნიშნულზე (GPS: X-272130; Y-4639139), ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის სიახლოვეს (ბახვი 2 ჰესის განახლებული სქემის სადაწნეო აუზში ჩართული იქნა ასევე ბახვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული წყალი). გათვალისწინებულია ბეტონის 6.5 მ სიმაღლის დამბის მოწყობა, უქმი წყალსაგდებით, წყალმიმღებით, გამრეცხი რაბით, თევზსავალითა და სალექარით. დამბის ქვედა ბიეფში გათვალისწინებულია ენერჯის ჩამქრობი 14.75 მ სიგრძის ჭის მოწყობა. ეკოლოგიური ხარჯის გატარება გათვალისწინებულია თევზსავალისა და 250 მმ დიამეტრის მილის საშუალებით. გათვალისწინებულია ვერტიკალურ-ღარიანი (საფეხურებიანი) თევზსავალის მოწყობა. წყალმიმღები აღჭურვილი იქნება თევზამრიდით (ჰორიზონტალური გისოსით და ეარლიფტით). ბახვი 2ა-ს მილსადენი იქნება 3123 მ სიგრძის (1400 მმ დიამეტრის) და მოეწყობა საპროექტო მისასვლელი გზის ვაკისის ქვეშ. მილსადენის საწყისის ზოგიერთ მონაკვეთზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. მილსადენის

დერეფანში წარმოდგენილი 11 ბუნებრივი ხევის გადაკვეთა გათვალისწინებულია მილხიდების საშუალებით. ბახვი 2ა-ს ძალური კვანძი, 35 კვ ძაბვის გამანაწილებელთან ერთად მოეწყობა ზღვის დონიდან 1062 მ ნიშნულზე (GPS: X-269692; Y- 4640482). ჰესის შენობაში გათვალისწინებულია ორი ერთეული „პელტონის“ ტიპის ვერტიკალურღერძიანი ჰიდროაგრეგატი.

ბახვი 2ბ სადგურის სათავე ნაგებობის განთავსება დაგეგმილია 1050 მ ნიშნულზე (GPS: X-269604; Y-4640520), ბახვი 2ა-ს ძალური კვანძის სიახლოვეს (ბახვი 2ა-ს გამომუშავებული წყალი ჩართული იქნება ბახვი 2ბ-ს სადაწნეო აუზში). გათვალისწინებულია ბეტონის 7 მ სიმაღლის დამბის მოწყობა (უქმი წყალსაგდებით, წყალმიმღებით, გამრეცხი რაბით, თევზსავალითა და სალექარით). დამბის ქვედა ბიეფში ეწყობა 17 მ სიგრძის ენერჯის ჩამქრობი ჭა. ბახვი 2ბ-ს სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია ბახვი 2ა-ს ანალოგიური საფეხურებიანი თევზსავალისა და თევზამრიდის (ჰორიზონტალური გისოსი და ეარლიფტი) მოწყობა. ეკოლოგიური ხარჯის გატარება გათვალისწინებულია თევზსავალისა და 250 მმ დიამეტრის მილის საშუალებით. ბახვი 2ბ-ს სადაწნეო მილსადენი იქნება 3753 მ სიგრძის (1500 მმ-1300 მმ დიამეტრის) და მოეწყობა საპროექტო მისასვლელი გზის ვაკისის ქვეშ. მილსადენის დერეფანში წარმოდგენილი 18 ბუნებრივი ხევის გადაკვეთა გათვალისწინებულია მილხიდების საშუალებით. მილსადენის დერეფანში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების შემცირების მიზნით გათვალისწინებულია საინჟინრო ნაგებობების (დამცავი კედლები და სხვა) მოწყობა. ბახვი 2ბ-ს ძალური კვანძი, 35 კვ ძაბვის გამანაწილებელთან ერთად განთავსდება ზღვის დონიდან 502.6 მ ნიშნულზე, ბახვი 3 ჰესის სათავე ნაგებობის სიახლოვეს (GPS: X-267500; Y-4642748). ჰესის შენობაში გათვალისწინებულია ორი ერთეული „პელტონის“ ტიპის ვერტიკალურღერძიანი ჰიდროაგრეგატი. ბახვი 2 ჰესის განახლებული სქემის ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან ყველაზე ახლოს დასახლებული პუნქტიდან (სოფ. უკანავა) განთავსებული იქნება ბახვი 2ბ-ს ძალური კვანძი.

ბახვი 2 ჰესის განახლებული სქემის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ჩართვა გათვალისწინებულია ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილი 110 კვ ძაბვის ქვესადგურში. აღნიშნული მიზნით პროექტი ითვალისწინებს 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობას ბახვი 2ბ-ს ქვესადგურიდან ბახვი 2ა-ს ქვესადგურამდე, ხოლო ბახვი 2ა-ს ქვესადგურიდან - ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის ტერიტორიაზე დაგეგმილი 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე. ელექტროგადამცემი ხაზების საერთო სიგრძე იქნება 6672 მ. ბახვი 2ბ-ს და 2ა-ს ქვესადგურების დამაკავშირებელი ხაზის შემადგენლობაში იქნება 16 საყრდენი ანძა, ხოლო ბახვი 2ა-ს და 110 კვ ძაბვის ქვესადგურების დამაკავშირებელი ხაზისათვის შემადგენლობაში 11 ანძა. საყრდენების განთავსება დაგეგმილია საპროექტო სადგურების საექსპლუატაციო გზების სიახლოვეს.

სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების საერთო ხანგრძლივობა დაახლოებით 2-2.5 წელი იქნება. ბახვი 2ა სადგურის სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია მდ. ბახვისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (GPS: X-270007.82 , Y-4640086.17). ბახვი 2ბ სადგურისთვის დაგეგმილია ორი სამშენებლო ბანაკის მოწყობა - ერთი ძალური კვანძის მიმდებარედ (GPS: X-267594.76, Y-4642684.93), ხოლო მეორე შედარებით ზედა ნიშნულზე (GPS: X-267734.07, Y-4641578.44). საპროექტო დერეფნამდე მისასვლელი გზების მოწყობა დაგეგმილია ორი მიმართულებით - ქვედა ბიეფიდან (ბახვი 3 ჰესის სათავე ნაგებობიდან) და ზედა ბიეფიდან (არსებული სატყეო

გზიდან). ერთი მიმართულების სიგრძე იქნება 6 018 მ, ხოლო მეორის - 4 249 მ. საპროექტო გზების დერეფანში საშიში გეოდინამიკური პროცესების რისკების გათვალისწინებით დაგეგმილია ფერდობების დატერასება და ბერმების, ქვათაცვენის საწინააღმდეგო ზადების, დამცავი კედლებისა და წყალარინების სისტემების მოწყობა. მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსებისათვის დაგეგმილია 3 სანაყაროს მოწყობა (GPS: X-266268.41, Y-4644641.63; X-266440.58, Y-4644631.92; X-266568.28, Y-4644426.61), რომლებიც მდებარეობს ბახვი 3 ჰესის სათავე ნაგებობის ქვედა ნიშნულზე. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობებისათვის, ფუჭი ქანების სანაყაროების ტერიტორიებზე გამოყოფილი იქნება ცალკე უბნები ან დასაწყობდება სპეციალურად შერჩეულ უბნებზე. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს დაზუსტებული ინფორმაცია მოსახსნელი ფუჭი ქანების, ასევე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის რაოდენობისა და დასაწყობების პირობების შესახებ. ასევე დაზუსტებული ინფორმაცია დროებითი და მუდმივი სანაყაროების შესახებ, სანაყაროების მოწყობა-ექსპლუატაციის პირობების მითითებით.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში ტექნიკური დანიშნულებით წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ბახვისწყლიდან, ხოლო სასმელ-სამეურნეოდ გამოყენებული იქნება ადგილობრივი წყაროს წყლები ან ბუტილირებული წყალი. მშენებლობის ფაზაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე დაგეგმილია ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარების მოწყობა, ხოლო გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება მდ. ბახვისწყალში. ექსპლუატაციის ეტაპზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და გამოყენებული იქნება ადგილობრივი წყაროს წყლები. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით, გათვალისწინებულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და გაწმენდილი წყლის მდ. ბახვისწყალში ჩაშვება.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ძირითადად მოსალოდნელია ზემოქმედება წყლის გარემოზე, იქტიოფაუნასა და წყალზე დამოკიდებულ ფაუნის წარმომადგენლებზე. ზემოქმედების სახეებიდან აღსანიშნავია, ასევე ჰაბიტატების დეგრადაცია-ფრაგმენტაცია, მათ შორის ხე-მცენარეების გარემოდან ამოღება.

პროექტის მშენებლობის ეტაპი დაკავშირებული იქნება ასევე ხმაურის გავრცელებითა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. მათ შორის, სკოპინგის ანგარიშის თანახმად - შესაძლებელია საჭირო გახდეს ხმაურის და ემისიების სტაციონალური წყაროების გამოყენებაც. მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, საცხოვრებელი ზონებიდან საპროექტო ტერიტორიებამდე დაშორების მანძილების გათვალისწინებით, ხმაურის გავრცელებითა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხმაურის და დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელებით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებები.

პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება ასევე გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად **საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში მოსალოდნელია ქვათაცვენა, ფერდობის ჩამოშლა, მეწყრული პროცესები, ღვარცოფული ნაკადი.** სკოპინგის ანგარიშში გამოკვეთილია გეოლოგიური სირთულის მქონე უბნები/მონაკვეთები და მოცემულია ინფორმაცია უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების შესახებ.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია მდ. ბახვისწყლის, მათ შორის საპროექტო მონაკვეთებში არსებული შენაკადების, ჰიდროლოგიური მახასიათებლებისა და წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. სათავე ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესრულება, წყლის სრული ხარჯის ქვედა დინებაში გატარების მიზნით, დაგეგმილია მდინარის მშრალ კალაპოტში, დროებითი ზღუდარებისა და სადერივაციო არხების გამოყენებით. მდინარეში დაბინძურებული წყლის ჩაშვების პრევენციის მიზნით განსაზღვრულია ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება წყლის გარემოზე ძირითადად დაკავშირებული იქნება მდინარის ხარჯის ცვლილებასთან, ხოლო მდინარის ხარჯის ცვლილება წყლის და წყალზე დამოკიდებულ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან. მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითად შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯების ქვედა ბიეფში მუდმივი გატარება.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება, როგორც ფლორისტულ ისე ფაუნისტურ გარემოზე, მათ შორის იქტიოფაუნაზე ზემოქმედებასთან. სკოპინგის ანგარიშში, ასევე დანართების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო არეალში გავრცელებული ბიომრავალფეროვნების, მოსალოდნელი ზემოქმედებისა და ზემოქმედების მართვის ღონისძიებების შესახებ. **საპროექტო არეალი ხვდება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე.** სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად შპს „ბახვი 2“-ს დაგეგმილი აქვს საპროექტო არეალში მოქცეული სახელმწიფო ტყის ტერიტორიები გამოიყენოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლებით, მოქმედი დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია ინფორმაცია საკვლევ რეგიონში გავრცელებული ფაუნის წარმომადგენლების შესახებ, მათ შორის **საპროექტო არეალში დაფიქსირებულია წავის არსებობის ნიშნები.** წავზე შესაძლო ზემოქმედების შემცირების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის, წავის სოროების აღრიცხვა და აპრილიდან-ივლისამდე მათთან მისვლის აკრძალვა). წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს ასევე წყლის ბიოლოგიურ გარემოს კვლევის ანგარიშსა და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციას. მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე იქტიოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: მშენებლობის ეტაპზე ერთარხიანი ღრმა კალაპოტის შექმნა, ხელოვნური კალაპოტის მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან შეერთების ადგილები მოეწყოს ისე, რომ არ შეიქმნას ხელოვნური ბარიერი თევზების გადაადგილებისთვის; ექსპლუატაციის ეტაპზე მდინარის ეკოლოგიური ხარჯის მუდმივი გატარება, თევზსავალის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი.

პროექტის განხორციელება დაკავშირებული იქნება, ასევე მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელია ბახვი 2 ჰესის

განახლებული სქემის და ხეობაში არსებული-საპროექტო ჰესების გათვალისწინებით. კუმულაციურ ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია მოცემულია, როგორც სკოპინგის ანგარიშში, ისე დანართის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. კუმულაციური ეფექტით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია არ არის სათანადოდ დახასიათებული და გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს დეტალურად წარმოდგენას, მათ შორის წყლის და ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ჯამური ზემოქმედების ჭრილში. საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის, განისაზღვროს საპროექტო არეალში გათვალისწინებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ბიოლოგიურ გარემოზე და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით.

პროექტის განხორციელებით კლიმატზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისთვის სკოპინგის ანგარიშს თან ერთვის მაკრო და მიკროკლიმატების ზემოქმედების შეფასებების ანგარიში, რომლის მიხედვით ბახვი 2 ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციას არ ექნება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მაკრო ან მიკროკლიმატზე.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელება, მათ შორის ინფორმაცია განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე და საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე. ამასთან, ინფორმაცია განთავსდა სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და გადაიგზავნა ცენტრის გამომწერებთან ელ. ფოსტის მეშვეობით. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2022 წლის 22 ივნისს, 12:00 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ბახვი 2“-ის, შპს „გამა კონსალტინგის“, სოფ. მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, სოფ. მთისპირის, სოფ. უკანავას მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული საზოგადოება, მათ შორის გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენელი. საჯარო განხილვაზე შენიშვნები დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა. საჯარო განხილვაზე დამსწრე ადგილობრივმა მოსახლეობამ მხარდაჭერა გამოხატა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და ყურადღება გაამახვილა დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელ დადებით სოციალ-ეკონომიკურ სარგებელზე. საჯარო განხილვაზე სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა კომპანიის მზაობას, არასამთავრობო სექტორის მიერ დასმული საკითხების გათვალისწინების კუთხით. სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ წარმომადგენელის განმარტებით - პროექტის ფარგლებში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სათანადოდ იქნეს დაცული გარემოსდაცვითი სტანდარტები. ყურადღება გამახვილდა, ასევე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შერბილების მიზნით შპს „ბახვი 2“-ის მიერ დაგეგმილი ღონისძიების მნიშვნელობაზე, რომელიც გულისხმობს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტყის აღდგენას.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ მიერ. შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა ბიომრავალფეროვნების კვლევას, კუმულაციურ ზემოქმედებას და თევზსავალს. პროექტთან დაკავშირებით არსებული რელევანტური და საფუძვლიანი შენიშვნები/მოსაზრებები მხედველობაში იქნა მიღებული და აისახა სკოპინგის დასკვნაში (გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალში).

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული იქნა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. ამასთან, განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
- 3.1. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ -ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის საჭიროების დასაბუთება (მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- 2020 წლის 23 აპრილის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებითა (ბრძანება N 2-356) და შესაბამისი გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული პროექტის მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, შეცვლილი საპროექტო მახასიათებლების მითითებით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-356) და ცვლილების პროექტით განსაზღვრული საქმიანობის ტექნიკური მაჩვენებლების/პარამეტრების შედარებითი ანალიზი, ცხრილის სახით;

- საპროექტო ცვლილებების გათვალისწინებით, საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის აღწერა-დახასიათება. მათ შორის ჰიდროელექტროსადგურის განახლებული სქემის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ადგილების დახასიათება, საქმიანობის განხორციელების ადგილის საკადასტრო კოდ(ებ)ისა და GPS კოორდინატების მითითებით, საპროექტო ობიექტის ყველა შემადგენელი ელემენტების ერთიან Shp ფაილებთან ერთად (შეტბორვის უბნის კონტურების მითითებით);
- საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ჰიდროელექტროსადგურის განახლებული სქემის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი;
- საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურების დაშორება მოსახლეობიდან, კონკრეტული მანძილების მითითებით;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნოლოგიური ალტერნატივების, ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტების (სათავე ნაგებობები, სადაწნეო/სადერივაციო მილსადენები, ჰესის შენობები, ელექტროგადამცემი ხაზი) განთავსების ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. **გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საპროექტო ობიექტის განთავსების ალტერნატივებიდან შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;**
- ჰიდროელექტროსადგურის განახლებული სქემის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების დეტალური აღწერა, თითოეული ობიექტის ტექნიკური პარამეტრების მითითებით;
- დაზუსტებული ინფორმაცია ბახვი 2 ჰესის ჰიდროელექტროსადგურის განახლებული ინფრასტრუქტურის განთავსების, მათ შორის სათავე კვანძების, საპროექტო (ზღვის დონიდან) ნიშნულების შესახებ;
- საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრებისა და მახასიათებლების ცხრილი/პროექტის განმარტებითი ბარათი, ყველა შემადგენელი ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღწერით;
- ცვლილების პროექტის გათვალისწინებით, ჰიდროელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ჰიდროელექტროსადგურის ჯამური (ასევე ბახვი 2ა და ბახვი 2ბ ჰესების) სიმძლავრისა და გამომუშავებული ელექტროენერჯის შესახებ ინფორმაციის მითითებით;
- საპროექტო სათავე კვანძების პარამეტრებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის სათავე კვანძების შემადგენელი ელემენტების (წყალმიმღები, სალექარი და სხვ.) დეტალური აღწერა;

- სათავე წყალმიმღები ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, სამშენებლო ეტაპების, მშენებლობის მეთოდის, დროისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- სათავე კვანძების საანგარიშო დატვირთვის, მათ შორის სეისმური და ჰიდრავლიკური დატვირთვის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია;
- სათავე კვანძებზე კატასტროფულ სიტუაციებში მომეტებული წყლის მართვის საკითხები (მათ შორის ინფორმაცია ნამეტი წყლის ენერჯის ჩამქრობი ჭების შესახებ);
- ინფორმაცია სათავე კვანძებზე შეკავებული წყლის მოცულობის და შეტბორილი ადგილების ფართობის შესახებ. ამასთან ინფორმაცია, ნორმალური/საექსპლუატაციო და მაქსიმალური შეტბორვის ნიშნულების შესახებ;
- სათავე ნაგებობებიდან ეკოლოგიური ხარჯის საგანგებო მოწყობილობით გატარების უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სათავე კვანძების მშენებლობის ეტაპზე, მდინარის ბუნებრივი ჩამონადენის არიდეების სამუშაოების, მათ შორის აღნიშნული მიზნით მოსაწყობი ინფრასტრუქტურის (დროებითი სადერივაციო არხი, დროებითი დამბა და სხვ) შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია თევზსავალებისა და თევზამრიდეების შესახებ (დაზუსტებული ტიპის და პარამეტრების მითითებით), ასევე ინფორმაცია მათი მოწყობის და ფუნქციონირების შესახებ, ეფექტურობის დასაბუთებით;
- საპროექტო თევზსავალი ნაგებობების ჰიდრავლიკური გაანგარიშებისა და შესაბამისი შედეგების შესახებ ინფორმაცია;
- თევზსავალ ნაგებობებში ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული გარემოს შექმნის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია ჰიდროელექტროსადგურის სადერივაციო-სადაწნეო სისტემების შესახებ. მათ შორის: მილსადენების ტიპისა და პარამეტრების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს მილსადენების განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან მილსადენების დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია მილსადენებით მდინარის, შენაკადებისა და ხევების გადაკვეთის შესახებ, შესაბამისი საპროექტო გადაწყვეტების მითითებით;
- ჰესის შენობების/ძალური კვანძების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ძალური კვანძების შემადგენლობაში შემავალი ელემენტების დახასიათებით. მათ შორის: ჰიდროტურბინების დეტალური აღწერა (ამასთან, ნამუშევარ წყალში ზეთების შერევის რისკების შესახებ ინფორმაცია); ჰესის შენობებში ავარიული ზეთშემკრები სისტემის მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- ჰესების შენობებიდან გამონამუშევარი წყლის მდინარეში გაყვანის შესახებ ინფორმაცია, გამყვანი არხების პარამეტრების მითითებით. ამასთან, ბახვი 2ა-ს ჰესის შენობიდან გამონამუშევარი წყლის ბახვი 2ბ-ს სადაწნეო სისტემაში გაყვანისა და გამყვანი არხის შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გამომუშავებული ენერჯის შეკრებისა და საერთო ქსელში ჩართვის შესახებ, მათ შორის:
 - ინფორმაცია ჰესების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გენერირების შესახებ. ამასთან, დეტალური ინფორმაცია ქვესადგურების შესახებ, დაზუსტებული საპროექტო მახასიათებლების მითითებით;
 - დეტალური ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის შესახებ, დაზუსტებული საპროექტო მახასიათებლების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნეს: საპროექტო ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის დეტალური აღწერა; დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ეგზ-ის სიგრძის შესახებ, ამასთან ინფორმაცია საპროექტო მონაკვეთში საყრდენი ანძების რაოდენობისა და ტიპის შესახებ; ინფორმაცია საპროექტო ბუფერის (სქემატურ რუკაზე დატანილი), მისი ფართობისა და ბუფერში მოქმედი შეზღუდვების შესახებ; საპროექტო ეგზ-ის ძირითადი ტექნიკური პარამეტრები და ფიზიკური მახასიათებლები, ცხრილის სახით; ამასთან, ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტების შესახებ; ინფორმაცია ელექტროგადამცემი ხაზის დაცვის ზონების და ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულების (დაცვის) შესახებ; ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნის დეტალური აღწერა, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) მიწისქვეშა ან/და მიწისზედა ობიექტების გადაკვეთის შესახებ დეტალური ინფორმაცია; ინფორმაცია ეგზ-ის გაყვანისა და ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ; ეგზ-ის გაყვანის ალტერნატივები და შერჩეული ალტერნატივის დასაბუთება;
- ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის ეგზ-ის, მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ვინაიდან, ჰესების შენობების განთავსება დაგეგმილია მდინარის სიახლოვეს, მოცემული უნდა იყოს ძალოვანი კვანძების უბნებზე მაქსიმალური ხარჯების გავლისას დამყარებული დონეებისა და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმის, ასევე ტერიტორიების დაცვის საინჟინრო ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ამასთან, დაზუსტებული ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების შესახებ - ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით. ამასთან, ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტის წყალმომარაგების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია. მათ შორის, დაზუსტებული ინფორმაცია ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყალაღების შესახებ (აღებული წყლის რაოდენობის, თვეების მიხედვით და წყალაღების GPS კოორდინატების მითითებით);
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების შესახებ, ძირითადი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით, მათ შორის ინფორმაცია: საპროექტო გამწმენდი ნაგებობების განთავსების ადგილების,

მოწყობის გეგმის, გამწმენდების ტიპის, პარამეტრების, წარმადობის, ტექნოლოგიური სქემისა და გაწმენდის ეფექტურობის შესახებ; ასევე ინფორმაცია გამწმენდ ნაგებობებში წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ; დაბინძურებული ჩამდინარე წყლის სავარაუდო შემადგენლობა - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ (ჩამდინარე წყლის ჩაშვების პარამეტრები), შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით; გამწმენდი ნაგებობებიდან ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;

- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით;
- საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზმ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზმ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების, აზრის გათვალისწინების ამსახველი ინფორმაცია. ამასთან, ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ.

4.1. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი ვადების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკი;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტების მოწყობის საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- მშენებლობის ეტაპზე ბეტონის კვანძ(ებ)ის მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია შესაბამისი ფიზიკური მახასიათებლების მითითებით. ამასთან, ბეტონის კვანძის ექსპლუატაციის ეტაპთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები;
- საპროექტო მისასვლელი გზების მოწყობის შესახებ ინფორმაცია, საპროექტო გზის შესაბამისი პარამეტრებისა და მოწყობის სქემის მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იყოს აღნიშნული გზების მშენებლობასთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები და შესაბამისი პრევენციული, საკომპენსაციო/შემარბილებელი ღონისძიებები;

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობების, ასევე ადგილ(ებ)ის შესახებ (მდებარეობის მითითებით - GPS კოორდინატები, Shp ფაილები);
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების დაზუსტებული რაოდენობა და მათი მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს, ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროები) შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია, შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით (სანაყაროს ფართობისა და GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად). **დასაბუთებული უნდა იყოს სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები.**

4.2. სამშენებლო ბანაკ(ებ)ის განთავსების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის:

- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის შესახებ, ბანაკ(ებ)ის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის მითითებით. წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკ(ებ)ის დაზუსტებული ადგილები (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), **ამასთან დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკ(ებ)ის განთავსებისთვის შერჩეული ადგილების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;**
- მოცემული უნდა იყოს სამშენებლო ბანაკ(ებ)ისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- სამშენებლო ბანაკის/ბანაკების გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;
- ინფორმაცია სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ფართობის, ასევე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის მომსახურებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე განთავსების შესახებ;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები;
- სამშენებლო ბანაკ(ებ)ის ტერიტორიაზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

4.3. გზშ-ის ეტაპზე წარმოსადგენი ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- მდინარე ბაზვისწყლის, ასევე მისი შენაკადების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მდინარე ბაზვისწყლის და მისი შენაკადების საშუალო წლიური ხარჯების, ჩამონადენის შიდაწლიური განაწილების შესახებ;
- ინფორმაცია მდინარე ბაზვისწყლის მაქსიმალურ ჩამონადენზე, მინიმალურ ჩამონადენზე, მყარ ნატანზე;

- მდინარე ბახვისწყლის სიგრძე და სიგანე (როგორც საერთო, ისე საპროექტო კვეთში არსებული);
- საპროექტო არეალში, როგორც დამბების ზედა ასევე მის ქვედა ბიეფებში, მდინარის შენაკადების შესახებ ინფორმაცია, მანძილებისა და აღნიშნული შენაკადების მიერ გატარებული ხარჯის მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2ა და ბაცვი 2ბ) მიერ ასაღები წყლის რაოდენობებზე - 10%, 50% და 90%- იანი უზრუნველყოფისთვის;
- მდინარე ბახვისწყლის მინიმალური და მაქსიმალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სათავე კვანძების ქვედა ბიეფში გასაშვები სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების შესახებ;
- შესაბამისი დასაბუთება, რამდენად უზრუნველყოფს განსაზღვრული ეკოლოგიური ხარჯები მდინარის ბუნებრივი და ეკოლოგიური გარემოს შენარჩუნებას;
- სადერივაციო-სადაწნეო მილსადენების გადამკვეთი მუდმივი და დროებითი ნაკადების შესახებ ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში დამცავი ღონისძიებების მითითებით);
- საპროექტო არეალში ღვარცოფული ნაკადების შესახებ ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში ღვარცოფსაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში უნდა აისახოს საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის ზედა და ქვედა ბიეფებში წყლის დონის მზომების (ჰიდროლოგიური საგუშაგოს) დაყენების, წყლის ხარჯების დადგენილი სიხშირით გაზომვის, დონეებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების მრუდების აგების, ყოველდღიური დონეების და ხარჯების შესახებ ინფორმაციის ყოველკვარტალურად სააგენტოში წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდინარის მონაკვეთზე წყალმოსარგებლების შესახებ ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში აღნიშნული ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სავალდებულო ეკოლოგიური ხარჯების გაანგარიშებაში).

4.4. გზმ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- **გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა, მათ შორის:**
 - რელიეფი (გეომორფოლოგია);
 - გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
 - სეისმური პირობები;
 - ჰიდროგეოლოგიური პირობები;
 - საინჟინრო-გეოლოგიური პირობების პიკეტური აღწერა (უნდა მოიცავდეს საპროექტო ტერიტორიის სივრცეში არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების აღწერასაც);
 - ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო დერეფანის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია.
- **გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მათ შორის:**

- ზემოქმედების შეფასება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, შემარბილებელი ან/და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით.

4.5. გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, ინფორმაცია უშუალოდ პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ცხოველებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს "წითელ ნუსხით" დაცულ სახეობებზე) და ფრინველებზე, მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილ იქნას ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- ინფორმაცია ე.წ ეკოლოგიური ხარჯის და მისი საკმარისობის შესახებ, წყალზე დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტების შენარჩუნების თვალსაზრისით;
- ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, სადაც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი;
- წარმოდგენილ იქნას, ბახვი 2 ჰესის ფარგლებში დაგეგმილი ცვლილების შედეგად, ჭრას დაქვემდებარებული სახეობების შესახებ ინფორმაცია, რაოდენობისა და მოცულობის მითითებით;
- ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობა ტყის ტერიტორიაზე ხორციელდება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული იყოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის, „საქართველოს ტყის კოდექსის“ მე-13 ასევე, „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის 496-ე დადგენილების მე-13 მუხლის მოთხოვნები. ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ალტერნატივების შესწავლის ნაწილში ყურადღება გამახვილდეს ტყის კომპონენტზე განსაკუთრებით (მათ შორის, დასაბუთდეს შემოთავაზებული ადგილის უალტერნატივობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა, ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ გაივლის ტყის ტერიტორიაზე);
- სათავე ნაგებობიდან ზედა და ქვემო წელში კალმახის გავრცელების აღწერისათვის აუცილებელია გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იყოს

კრიტიკული გადაულახავი ბარიერების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დეტალური დახასიათება ზუსტი პარამეტრებით (ბარიერის სიმაღლე ფოტომასალით, დინების სიჩქარე, და სხვა);

- ვინაიდან, უკვე წარმოებული კვლევებისას შერჩეული დრო დაემთხვა წყალმოვარდნის ნეგატიურ შედეგებს და თევზი ვერ იქნა მოპოვებული, საჭიროა გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას სწორად იქნას შერჩეული იქთიოფაუნის კვლევის პერიოდი, რათა სრულყოფილად შეფასდეს კალმახის გავრცელების არეალი და რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებში მნიშვნელოვანია ასახული იქნას ნაკადულის კალმახის დათევზიანების აუცილებლობა და შესაძლებლობა, ვინაიდან ჰვისის სრულად ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ადგილი ექნება კასკადური სისტემის კუმულაციურ ზემოქმედებას იქთიოფაუნაზე.

5. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასება მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები ღონისძიებები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტზე, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნეს: მშენებლობა-ექსპლუატაციის დროს ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკების შეფასება; მდინარის კალაპოტში წყლის ხარჯის შემცირებისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ჰიდროლოგიურ, ჰიდრომორფოლოგიურ და კალაპოტურ პროცესებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

- პროექტის განხორციელების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზ.დ.ჩ) პროექტი;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მდინარის ნატანის მოძრაობაზე, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით წყლის და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება კლიმატურ პირობებზე, რეგიონში არსებული/საპროექტო ანალოგიური ტიპის ობიექტების გათვალისწინებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მოცემული უნდა იყოს ასევე სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა;
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი/ები, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);
- პროექტის ფარგლებში სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. **ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში დაგეგმილი, მათ შორის ანალოგიური პროექტები;**
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (მათ შორის ნარჩენების მართვის გეგმა);
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგებისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;

- საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების დეტალური შეფასება გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ბიოლოგიურ და წყლის გარემოზე), არსებული ან/და საპროექტო ჰიდროელექტროსადგურების გათვალისწინებით, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მათ შორის, ყურადღება გამახვილდეს ჰიდროდინამიკურ ავარიაზე რეაგირების საკითხებზე;
- ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპებისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით, ასევე თვიური და წლიური ხარჯების სიდიდეები 10%, 50%, 75% და 95% უზრუნველყოფისათვის, შესაბამისი ცხრილების (1; 2) სახით:

- ცხრილი 1. ეკოლოგიური ხარჯის პროცენტული მაჩვენებლები თვეების მიხედვით

• თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
მდინარის ბუნებრივი ხარჯი თვეების მიხედვით												
საშუალო თვიური ხარჯები, მ ³ /წმ												
ენერგეტიკული ხარჯი თვეების მიხედვით (ჰესის მიერ ასაღები ხარჯი)												
საშუალო თვიური ენერგეტიკული ხარჯები, მ ³ /წმ												
ეკოლოგიური ხარჯი თვეების მიხედვით												

7. საკითხები/შენიშვნები, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილ იქნას 2020 წლის 23 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-356) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია (განხილული იქნეს თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი);
- გზშ-ის ანგარიშში სრულად უნდა იქნეს წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა (ორსაფეხურიანი (ბაზვი 2ა და ბაზვი 2ბ) ჰიდროელექტროსადგური), დაგეგმილი ცვლილებების გათვალისწინებით, მათ შორის შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (04.23.2020 / ბრძანება N 2-356) განსაზღვრული საქმიანობების ანალიზი და მოთხოვნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით (კანონმდებლობის შესაბამისად);
- აეროფოტო სურათზე (მაღალი გარჩევადობით) დატანილი საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით (A3 ფორმატი; Shp ფაილი WGS_1984_37N(38N) პროექციით), სადაც მოცემული იქნება: ინფრასტრუქტურული ობიექტები (სათავე ნაგებობები, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენები, ჰესის შენობა, სამშენებლო ბანაკი, მისასვლელი გზები, სანაყაროები);
- კუმულაციური ეფექტით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად უნდა იქნეს განხილული-დახასიათებული წყლის და ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ჯამური ზემოქმედების ჭრილში. საკითხის დეტალური ანალიზის მიზნით, გზშ-ის ეტაპზე უნდა მოხდეს კუმულაციური ეფექტის გამომწვევი ყველა წყაროს იდენტიფიცირება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის, განისაზღვროს საპროექტო არეალში გათვალისწინებული საქმიანობებით მოსალოდნელი ჯამური/მასშტაბური ზემოქმედების მნიშვნელობა, განსაკუთრებით ბიოლოგიურ გარემოზე და წარმოდგენილი იქნეს კონკრეტული სახის შემარბილებელი ღონისძიებები, ეფექტურობის დასაბუთებით;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით: წარმოდგენილი Shp-ფაილებში მითითებული სულ (სამივე ალტერნატივით) 572984 კვ.მ ფართობიდან და 9949 გრძივი მეტრიდან - 498002 კვ.მ ფართობი და 9710 გრძივი მეტრი მდებარეობს სახელმწიფო ტყეში, კერძოდ ოზურგეთის სატყეო უბნის მთისპირის სატყეოში. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან;
- ვინაიდან, დაგეგმილი საქმიანობა განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვებას საჭიროებს - საქმიანობის განმახორციელებელმა (კანონმდებლობის შესაბამისად) გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

- სსიპ დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს ცნობით: მდინარე ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგური (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ცვლილების მონაკვეთი მდებარეობს გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საკვლევ არეალში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება გურიაში პირველი ეროვნული პარკის დაარსება ჰიდროელექტროსადგურის განხორციელების პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს გამოყენებულ უნდა იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს ფლორისა და ფაუნის სახეობების უსაფრთხოებას დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნებით მნიშვნელოვანი არეალის ფარგლებში. ამასთან, ჰესის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილ გურიის ეროვნული პარკის დაარსებას;
- **მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე დაზუსტდეს** ბახვი 2ა ჰესის გამომუშავებული წყლის ბახვი 2ბ სადგურის სადაწნეო სისტემაში მიწოდების ან/და მდინარეში დაბრუნების საკითხი. კერძოდ - სკოპინგის ანგარიშში, როგორც ბახვი 2ა, ისე ბახვი 2ბ ჰესის შენობების/ძალური კვანძების შესახებ ქვეთავებში მითითებულია, რომ თითოეულ ჰიდროაგრეგატს ექნება საკუთარი გამყვანი არხი, რომლებიც გაერთიანდება ბოლო ნაწილში და ჩაშვებული იქნება მდ. ბახვისწყალში. ამასთან, სკოპინგის ანგარიშიდან დგინდება, რომ ბახვი 2ა ჰესის გამომუშავებული წყალი პირდაპირ იქნება ჩართული ბახვი 2ბ სადგურის სადაწნეო სისტემაში;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით ბახვი 2ბ სადგურის სათავე ნაგებობა განთავსდება ბახვი 1 ჰესის ძალური კვანძის უშუალო სიახლოვეს. საპროექტო ობიექტების დაშორების მანძილის გათვალისწინებით აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას;
- **დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკის შესახებ ინფორმაცია**, კერძოდ სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, დაგეგმილია სამი სამშენებლო ბანაკის მოწყობა, ხოლო წარმოდგენილ Shp ფაილებში მოცემულია ერთი სამშენებლო ბანაკის ტერიტორია, ხოლო სოფ. უკანავას სიახლოვეს სასაწყობე ბანაკების ტერიტორიები. ამასთან, აღსანიშნავია რომ სასაწყობე ბანაკების ტერიტორიები თანხვედრაშია ბახვი 3 ჰესის N1 სანაყაროსთან, **რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას;**
- Shp ფაილებით წარმოდგენილი სანაყაროები განლაგებულია, საპროექტო ტერიტორიიდან მოშორებით, ბახვი 3 ჰესის სანაყაროების სიახლოვეს. მნიშვნელოვანია გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი იქნეს დეტალური-დაზუსტებული ინფორმაცია ბახვი 3 ჰესის არსებული სანაყაროების სიახლოვეს ბახვი 2 ჰესის სანაყაროების მოწყობისა და სანაყაროების ბახვი 2 ჰესის საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებით განთავსების საკითხის შესახებ, **გარემოზე მოსალოდნელი დამატებითი ზემოქმედების ჭრილში;**
- სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, მშენებლობის ეტაპზე საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდა მოხდება სალექარების საშუალებით და გაწმენდილი წყალი დაბრუნდება მდ. ბახვისწყალში. დაზუსტებას საჭიროებს საიდან მოხდება აღნიშნული ტიპის წყლების წარმოქმნა. ამასთან, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს

- საღეპარების შესახებ ინფორმაცია, საპროექტო პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
 - საპროექტო არეალში ბიომრავალფეროვნების კვლევის დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს წავზე. მათ შორის აღსანიშნავია, რომ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციას ზემოქმედება ექნება მდინარის იქტოფაუნაზე, რაც წავის ძირითად საკვებ ბაზას წარმოდგენას, შესაბამისად ამ მიმართულებით კვლევების განხორციელება აუცილებელი იქნება. ამასთან, წავისთვის მნიშვნელოვანია სუფთა წყალი, რომელზეც ზემოქმედება მოსალოდნელია, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. სახეობის სუფთა წყალზე დამოკიდებულების გათვალისწინებით - აღნიშნული სახის ზემოქმედების მნიშვნელობა ასევე საჭიროებს შეფასებას, დეტალურ კვლევას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას;
 - გასათვალისწინებელია კავკასიური სალამანდრის ტერიტორიაზე არსებობის საკითხიც. მნიშვნელოვანია კვლევა განხორციელდეს სახეობის ცხოვრების წესის გათვალისწინებით (ძირითადად ღამით). ამასთან, მნიშვნელოვანია იდენტიფიცირებული ზემოქმედების (რაც ძირითადად წყლის რეჟიმის და ხარისხის ცვლილებასთან იქნება დაკავშირებული) შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა;
 - მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს თევზსავალების ალტერნატიული ვარიანტები, ხოლო შესაბამისი თევზსავალის შერჩევა მოხდეს სხვადასხვა ალტერნატიული ვარიანტების შეფასების შედეგად;
 - საპროექტო არეალში ბიომრავალფეროვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის არსებობისთვის მნიშვნელოვანია ჩატარდეს სრულფასოვანი კვლევა, სხვადასხვა სეზონზე. მათ შორის მნიშვნელოვანია კვლევები განხორციელდეს ფოტოხაფანგების გამოყენებით, ტერიტორიაზე გავრცელებული სახეობების ქცევითი მახასიათებლების გათვალისწინებით. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს სახეობების კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია.
 - სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პირობების ცვლილების შედეგად ბახვი 2ა ჰესის დადგმული სიმძლავრე იქნება - 11.6 მგვტ, ხოლო ბახვი 2ბ სადგურის სიმძლავრე იქნება - 23.8 მგვტ. აღნიშნულიდან გამომდინარე პროექტის დასახელება და გზმ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ დადგმული სიმძლავრის გათვალისწინებით.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „ბახვი 2“-ის მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე მდ. ბახვისწყალზე ჰიდროელექტროსადგურის (ბახვი 2 ჰესი 36 მგვტ) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პრობემების ცვლილებას, სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.